# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 314. კვირა, 8 მაისი 1905 წ. გაზეთის № 2815.


# მაგეზღარი

ა. ბელიტრამელლისა.

მოხუცმა მწყემსმა რიმუელდმა უთხრა ბიარუს:

— თუ შენთან ღამე მოულოდნელად სიურელმი მოვიდა და კარები მოგირაკუნა, მიიღე, შეუშვი სახლში, უბედურება შეემთხვა...

— რა უბედურება?—იკითხა ბიარუმ და შეხედა რიმუელდს ელამის თვალებით, მაგრამ მალე ისევ მოაშორა და მაღლა ცას მიაპყრო.

— ამას წინად, საღამოთი,—უპასუხა მოხუცმა,—სიურელმა შეურაცხჰყო ცინტილი. ეს ამბავი ტყეში მოხდა და გამშველებელი არავინ იყო. საქმე იქამდე მივიდა, რომ სიურელმა დანა ჩასცა და იქვე მოკლა ცინტილი.

— მერე, ამ მკვლელობის შესახებ არავინ არაფერი იცის?

— მგონია ჟანდარმებმა ეჭვი მიიტანეს სიურელზე, მაგრამ ამაოდ დაეძებენ.

— გასცემს ვინმე!—უსიამოვნო სიცილით წამოიძახა ბიარუმ.

— ჯაშუშობას აქ არასოდეს ფესვი არ გაუდგამს. შეჰმუხვნით უპასუხა რიმუელდიმ.

— მე ვიცი მაგგვარ საქმეში დახელოვნებული კაცი.

— ვინ არის?

— ეხლა არ გეტყვი. გავამხელ მაშინ, თუ კიდევ ეცდება სხვის გაუბედურებას...

— გაფრთხილდი, არ დაჰფარო!—დაუყვირა რიმუელდიმ.

მოხუცი თვალს ადევნებდა, როგორ ხშირდებოდა ბინდი მაღლა; ამნეკის ტყეებს იქით რიმუელდიმ გაჰხედა ბნელ სივრცეს, შემდეგ მურყნის ტყეში შევიდა და მიიმალა. ამ ტყეში იმისი თეთრი ცხვარი სძოვდა.

ბიარუ გაემართა მონტე აპერტოსკენ, სადაც ნაცრისფერი ქვითკირის სახლი ჰქონდა. ოჟუმის ვაკეში კაცი დაინახა, რომელიც სიბნელეს არ მორიდებოდა და მიწასა ხნავდა. გვერდში ამოსდგომოდა ორ ხარს და მძიმე ულლის ქვეშ წელში მოხრილიყო. გვერდით მისდევდა ძონძებში გახვეული ბავში და წვრილის სახრით ერეკებოდა ზარმაც პირუტყვებს.

ღამის სიბნელეში ზარივით ისმოდა იმისი წკრიალა ხმა:

— ჰამოო! მოჰყევ ნაკელევში, მაგარია მიწა!

სიჩუმის დროს თვალს ადევნებდა სახნისს, რომელიც გაჭირვებით ეჭრებოდა უნაყოფო მიწაში.

ბინდში ბიარუმ ვერ იცნო გუთნის დედა, მაგრამ, როცა ამ უკანასკნელმა მძიმედ ასწია თავი მაღლა, წელში გასწორდა და გადაჰხედა მძიმე ნაშრომს, ეს არის ეხლა მისგან შესრულებულს, ბიარუმ იცნო დაღვრემილი სახე თავის მეზობლის ბიუვერისა.

— უმადურია მიწა!—სთქვა ბიარუმ, როდესაც გუთნის დედასთან მივიდა.

— ოთხმა დღიურმა მიწამ ათი სული მაინც უნდა გამოკვებოს,—მოკლე სიჩუმის შემდეგ უპასუხა ბიუვერმა,—ეს კი ერთ სულსაც ვერა ჰკვებავს.

— ეხლა მარტო ვენახი იძლევა კარგ შემოსავალს...

— მართალია, მაგრამ ჩვენთვის სულ ერთია—სილატაკეს მაინც ვერ დავახწევთ თავს. ამასთან,—დაუმატა გლეხმა,—ჩემი ფიქრი და გონება ჩემი სახლის ჭერ ზევით არ მიდის; რაც ზევითაა, იმაზედ უფალი იზრუნებს!

— მთვარის სინათლეზედაც მუშაობ?—ჰკითხა ბიარუმ.

— დიახ!—მიუგო ბიუვერმა:—ღამე უფრო ადვილია მიწის გაპობა. მთვარე მხოლოდ ანათებს, მაგრამ არ აცხუნებს.

— შენი ცოლი კი მარტოდ-მარტო ზის სალხში ბავშვებთან?

— მარტოდ-მარტო თავის სილატაკესთან!—ღიმილით უპასუხა ბიუვერმა.



ნამესტნიკის გრაფ **ვორონცოვ-დაშკოვის** ჩამოსვლა ტფილისში.

— რომ შეაშინოს ვინმემ? აქეთკენ ვიღაც დევნილი ავაზაკი დაეთრევა.

— ვიცი. უთუოდ სიურელზე ამბობ?

— დიახ, იმაზე.

— გუშინ-ღამ ჩემთან მოვიდა, კარი დამირაკუნა და მეც

შემოუშვი. ათი დღის ტანჯვას აჩრდილად გადაუქცევია. ჩემ ვაჟებს ძალიან შეებრალათ და თავი შეაფარებინეს თავიანთ ღარიბ ქოხში.

— ეხლაც თქვენსას არის?

— დიახ, ჩემთან დარჩება. ამასთან, ბიარუ, იქ სადაც სიმდიდრე არ ეგულებათ, არც შიშია აკლებისა. იმის შესანახად ერთი ლუკმა პური ყოველთვის მომეპოვება.

გაჩუმდნენ. ამნეკის ტყეებიდან, ალბანის მთების წვერვალოების ზევიდან, თითქოს ხშირ-ტყიდან გამოხტაო, გამოჩნდა, როგორც საოცარი ყვავილი, მოწითალო მთვარე. შორს, მოდენის მთებზედ კი, იშლებოდა ჯერ კიდევ სუსტი მზის სინათლე.

ჩვეულებრივის გამოსალმების შემდეგ მოსაუბრენი გაშორდნენ ერთმანეთს. ბიარუ გაემართა თავის სახლისკენ, რომელიც შორს აღარ იყო.

მეორე დღეს სიურელი იპოვნეს გუთნი დედის სახლში, შემოერტყნენ გარს კანონის წარმომადგენელნი და წაათრიეს იქვე მეზობელს ქალაქში.

დიდი იყო ტანჯვა—მწუხარება მთის მცხოვრებლებისა. ყველამ კარგად იცოდა, სიურელს ვერ დაიჭერდნენ, რომ გამცემი, ჯაშუში და მაბეზღარი არ აღმოჩენილიყო.

პირველსავე უქმე დღეს შეიკრიბნენ ყველა მხრის მამასახლისები. ბიარუც გამოცხადდა. ბიარუმ მოხუცი მწყემსი რიმუელდი განზე გაიყვანა და უთხრა:

— ხომ გითხარი, რომ გასცემს ვინმე მეთქი. განა მართალი არ ვიყავ?

— გაფიცებ შენი სახლის ბედნიერებას,—ჰკითხა მოხუცმა:—დაასახელე მაბეზღარი ან არა და შენც ჯაშუშის თანაზიარი გახდები!

— მე არავისი დაღუპვა არ მინდა.

— იმას, ვინც კაცს თავისუფლებას უსპობს, უფლება არა აქვს ლმობიერებისა!

— მართალია!—წაიდუდღუნა ბიარუმ და დაღუნა ხშირ თმიანი თავი ელამის თვალებით.

— მაშ სთქვი რაღა!—დაუყვირა რიმუელდიმ.

— იმ ღამეს, როცა შენ გაგშორდი, გავიგე, რომ სიურელი მთაში იმყოფებოდა ჩემის სახლის ახლოს. ბიუვერმა მითხრა, ორი დღეა სიურელს ჩემს სახლში ვმალავო. ღამე მინდორში გავედი სამუშაოდ, დავინახე, ბიუერი დიდი გზისკენ გარბოდა.

— შეგიძლიან ყოველივე, რასაც ამბობ, სინდისის ქვეშ დაამტკიცო?

ბიარუმ ხელები გულზედ დაიდო და მძიმედ უპასუხა:

— ვფიცავ ჯვარს უფლისას!

მამასახლისებმა რომ სამწუხარო ამბავი გაიგეს, შეაჩვენეს უსიტყვო ბიუვერი და გადაუწყვიტეს მძიმე სასჯელი — „საყოველთაო სიჩუმე," ესე იგი განმარტოვებული, განდევნილი ცხოვრება.

სასჯელი დაიწყო, მაგრამ ბიუვერი პირველ ხანს ვერ ამჩნევდა. იგი იყო უბრალო, სოფლის ღატაკი გლეხი, მოუხეშავი, როგორც ფიჭვის ქერქი, არაფრის მცოდნე, გარდა თავის სხეულისა და აჩრდილისა, დედა-მიწისა და მზისა. იგი იარღვევდა ცხოვრების ეკლიან გზას და უკან არ იხედებოდა.



ქანდაკება.

ათი საცოდავი მშიერი ხმა ამხნევებდა, და ყოველი მზის ჩასვლისას უნდა ეშოვნა საჭმელი თავის შვილებისთვის.

როგორც ვთქვით, პირველ ხანს ამხანაგების სიჩუმემ არ გააკვირვა იგი, იმიტომ რომ არც თვით იყო ყბედი. მაგრამ, როდესაც გესლიანის სიტყვებით უარი უთხრეს ძმურს მოხმარებაზედ, როგორც ეს წესად არის მთის შვილებს შორის, გაკვირვებისგან თვალები დააჭყიტა და გაოცებით იკითხა:

— რა დაგიშავეთ?

პასუხი ვერ მიიღო და არა ერთხელ მოუხვდა დაბრუნება თავის გაგარეულებულს ბუნაგში მარტოდ და ულუკმა-პუროდ.

ერთხელ, როდესაც თავის ქოხის დერეფანში იდგა, ბიარუმ გაიარა. ორჯელ დაუძახა მაღალის ხმით ბიუვერმა, მაგრამ ბიარუმ ისე აჩვენა თავი, თითქო არ ესმის. მაშინ ბიუვერი გამოუდგა.

— დაყრუვდი თუ რა არის?—მოეწია ბიარუს და დაუყვირა.

— რა გნებავთ?

— თქვენგან მე არაფერი არა მნებავს. მხოლოდ მინდოდა მეკითხნა, რად მერიდებიან როგორც ეულს, და რატომ არავის არ უნდა არაფრის გაგონება ჩემზედ და ჩემს პაწია ბაღლებზედ?

— მე არაფერი არ ვიცი.

— იქნება გეთაკილებით ჩემის სიღარიბით? ღმერთია გულთა-მხილავი, მე არასოდეს არავისთვის არ მომიპარავს არც ერთი მარცვალი ქერისა. მე დავკარგე ორი ვაჟი-შვილი...

— ყველანი სიკვდილის შვილები ვართ!—უპასუხა ბიარუმ.

— მითხარი, ვინ დამწამა ცილი, გაფიცებ განსვენებულ მშობლების სულს?—შეჰყვირა ბიუვერმა.

უმზგავსმა კაცმა ზურგი შეუბრუნა, ვერ აიტანა ამხანაგის გამოხედვა და საცოდავის ხმით გაიმეორა:

— მე არაფერი არ ვიცი.

მაშინ ბიუვერმა დაინახა, რომ მწარე გადაწყვეტილება ცუდ დღეს არ უქადის; დაინახა, რომ ამხანაგები ზიზღით და მძულვარებით ეკიდებიან. ამიტომ სთხოვა მამასახლისებს მოლაპარაკება.

დანიშნეს მოლაპარაკების დღე ალბანის გორაზედ და მამასახლისები შეუდგნენ პატარა ვიწრო კლდოვან გზებს. როდესაც ამნეკის ტყიდან მომავალი ბიუვერი გამოჩნდა, ყველამ იქით მიიხედა. ის სირბილით უახლოვდებოდა, საცოდავი, აღელვებული. თუმცა ცივი ყინულისებური ქარი იყო, მაგრამ იგი თავ-შიშველი იყო, ძონძ-კონკებში გამოხვეული.

ხანში შესულთ ერთმანეთს შეხედეს, რიმუელდიმ კი წაიბურტყუნა:

— სწორედ მომაკვდავის სახე დასდებია!

სხვებმაც ჩუმად თავები დაუქნიეს თანხმობის ნიშნად.

ბიუვერი ტყიდან გამოვიდა და მოედანზე შესდგა, სადაც შეკრებილიყო ხალხი იმის საქმის გასასამართლებლად.

— დანიშნულ დროზე ვერ მოვედი,—სთქვა იმან,—იმიტომ რომ ჩემი ერთი ბავშვი კიდევ გამოესალმა წუთი სოფელს.




**გურია.**—ასკანის ციხე დასავლეთის მხრიდან.

სამი ვაჟი მომიკვდა მას შემდეგ, რაც მწარე სასჯელი აღმითქვით, რომლის შესახებაც მე არა ვიცი რა. თქვენ წამართვით ყოველივე და, მინდა გავიგო, რისთვის!

იმისი ხმა, ხრინწიანი, მჭახე, როგორც ქარიშხალი, მედიდურად გაისმა და შეაკრთო მამასახლისნი. მაშინ რიმუელდიმ უთხრა:

— შენ დაარღვიე კანონი სტუმართ-მოყვარეობისა!

ბიუვერმა თვალები დააბრიალა, აენთო და თრთოლით ხელებს იმტვრევდა.

— ეგ ტყუილია!—სთქვა იმან.

რიმუელდი-კი ამბობდა პირ-ქუშისა და მძაფრის კილოთი:

— შენ ჯაშუშად გახდი ფულის გულისთვის, უღალატე შენს თავს და შენს ხალხს; დაუტოვე შენს შვილებს ჭუჭყიანი სახელი! მამასახლისებმა მხოლოდ იმიტომ შეგიბრალეს, რომ წვრილ-შვილი ხარ.

ბიუვერი ისეთი გახდა, თითქო გაქვავდა ტანჯვა-მწუხარებისგანაო, როდესაც მოხუცი დამშვიდებულის აღფრთოვანებით მოსთვლიდა დანაშაულებს, რამაც ბრალდებული სრულ განდევნამდის მიიყვანა და მხეცად გარდაჰქმნა.

ბიუვერი იდგა, ჩუმად, გაწამებული, აღშფოთებულ მოხუცთა კრების წინაშე, თითქოს ფიქრობდა, საით გავიქცეო.

იმის ნაცრისფერი თვალები პირ და პირ სახეში უყურებდნენ მოსამართლეს, მაგრამ მოძრავი ძარღვები თრთოდნენ ძვალ-ტყავად ქცეულს, უეცრად დაბნელებულს პირისახეზედ.

სიჩუმე ჩამოვარდა. ბიუვერი ლაპარაკს სცდილობდა, მაგრამ ხმა არ ემორჩილებოდა და მხოლოდ რაღაც ღმუილი აღმოხდებოდა გულიდან. დაფიქრებული, იქვით შებორკილი, ჭაღარა თავი ძირს დაეხარა.

პირველის გაოცების შემდეგ ბრალდებულმა წამოილაპარაკა და მოკლე სიტყვებში ამოანთხია მთელი თავისი სული.

— მე გავუღე კარი სიურელს. ვფიცავ აწ გარდაცვალებულ ჩემის შვილების სულს, ვფიცავ ცოცხლად დარჩენილ ჩემს ვაჟი-შვილებს, ვფიცავ ყველაფერს, დამატყდეს თავზედ ღვთის რისხვა და მეხი,—თუ მე ჯაშუში ვიყო!..

ეს ისე ამაყად და მედიდურად სთქვა, რომ არავინ დაეჭვიანებულა იმის სიტყვების ჭეშმარიტებას. ჭეშმარიტება აღმა ფრენაა, რომლითაც არ შეიძლება თვალთ-მაქცობა: იგი ღონიერია, როგორც მდინარე დაღმართში, უძლეველია როგორც მძვინვარე სიკვდილი.

ამ სიტყვების შემდეგ რიმუელდთან მივიდა ვიღაც დედაკაცი, რომელიც ჯაგებს უკან იმალებოდა, ვიდრე სხვები ლაპარაკობდნენ (ქალებს არა ჰქონდათ ნება კრებაზედ დასწრებისა) და უთხრა:

— მე მინდა მოგელაპარაკოთ.

მოხუცებული გადავიდა მეორე მხარეს და, როცა ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა, უთხრა ბიუვერს:

— ხვალ გაიარე მოედანზედ და შურნაძიები იქნები...

ბიუვერიმ დახარა ამაყი თავი და ცრემლად დაღვარა მთელი თავისი შხამ-ნაღველით ნარევი სიმწარე.

მეორე დღეს მოედანზედ შეიკრიბა ხალხი მთლა სან-ბენედეტტოდან; შეერთდნენ მცხოვრებნი ამნეკის ტყეებისა და ალბანის მთებისა. ეს დრამა მოხდა შემოდგომის ცივ საღამოს ბინდზედ.

ექვსი კაცი თოფით შეიარაღებული იყო და ჩურჩულით ლაპარაკობდა. ბრბოს მოუთმენარი მოლოდინი ემჩნეოდა და თვალებს აქეთ-იქით აპეცებდა.

უეცრად გაისმა ჭაბუკთა შორის:

— აგერ, აგერა! მოდის! ვიწრო გზაზეა, მარჯვნივ უხვევს... ხედავთ?

— დიახ, ვხედავთ!—სთქვეს მოხუცებულთ.

ხელ ახლად ჩამოვარდა სიჩუმე და მხოლოდ შორიდან მოისმოდა სალამურის მკვნესარი ხმა: ვიღაც მწყემსი უკრავდა და თავის ფარასთან ერთად მოარღვევდა ბურუსის ჯანყს მთებზედ.

კაცი, რომელსაც ყველანი მოუთმენლად ელოდნენ, ალერსიანის ღიმილით დაუპირდაპირდა წინა ჯგუფს. როცა შეიარაღებულ ბრბოს ახლო გაიარა, კარგად გაიგონა ხმა-მაღალი ყვირილი:

— ბიარუ, ბიარუ, საზიზღარო, გაფრთხილდი!

და ვიდრე მიიბრუნებდა პატარა, სახიჩარ თავს ელამის თვალებით, ექვსი თოფის ლულა დაემიზნა და იქვე უსულოდ მიაწვინა.

როდესაც ჰაერი გაიწმინდა, რამდენიმე ჭაბუკი მიუახლოვდა, რომ წაეღოთ მოკლულის გვამი. მაგრამ ყვირილმა შეაჩერა ისინი:

— თავი დაანებეთ! დედამიწა არ მიიღებს ჯაშუშებს!

და კრება დაიშალა და გაემართა წყვდიადში განდეგილს მთის მწვერვალებისკენ.

**ლიზა მესხიშვლი.**



უკანასკნელი სიმფონიური კონცერტი.

**ტრამვაის პირველ ვაგონის გამოსვლა გაფიცვის შემდეგ.**




საბჭოს კომისიის ერთი წევრთაგანი.. ეეჰ, როგორ ამცდა ეს ტრიუმფი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი